2005 წლის 28 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა საერთო კრებამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩატარებული სამეცნიერო თემატიკების კონკურსის შედეგების შესწავლა.

კომისიის შემადგენლობა:
1. წერეთელი სიმონ (თავმჯდომარე)
2. გორგილაძე ბადრი
3. მებონია ჯემალ
4. ნოსელიძე ირაკლი
5. სალია ზურაბ
6. ქამუშაძე თენგიზ
7. ქარქაშაძე დავით

აღნიშნული კომისია საჭიროდ მიიჩნევს, მიემართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რათა კანონით დადგენილი წესით ოფიციალური პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. თსუ სამეცნიერო ნაწილის დაფინანსება გათვალისწინებული იყო 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით. ვის მიერ იქნა დარღვეული კანონი და რის საფუძველზე გადაეცა ეს თანხა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს?
2. ვის დაქვემდებარებაში იმყოფება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი და რომელი კანონის ან კანონქვემდებარე აქტი ადასტურებს ამას?
3. არის თუ არა "საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" სამეცნიერო ნაწილის დაფინანსების ძირითადი წყარო? რომელი კანონით, ან კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრება დაუფინანსებლად დარჩენილი ე.წ. "სტიპენდიანტების" უფლებები, რა უფლებრივი განსხვავება იქნება მათსა და დაფინანსებულ თანამშრომლებს შორის?.
4. რომელი კანონით ან კანონქვემდებარე აქტით არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ფუნქციები, უფლება-მოვალეობები. ვის მიერ და რის საფუძველზე აქვს მას მინიჭებული სამეცნიერო კვლევათა მართვის ფუნქცია?
5. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ჩატარებული კონკურსის ორგანიზებისათვის და რომელი ფინანსური წყაროდან?

კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი დასკვნები:

1. არც განათლების მინისტრს, არც დეპარტამენტის ხელმძღვანელს, არც "დანიშნული ფარული კომისიის" თავმჯდომარეს ერთადაც კი რეალურად არ გააჩნიათ ისეთი დონის სამეცნიერო რეიტინგი, რომ თავის თავზე აიღონ ისეთი წარმოუდგენლად რთული მისიის განხორციელება, როგორიცაა სრულიად განსხვავებული სამეცნიერო მიმართულებების კვლევათა აქტუალურობის შეპირისპირებითი შეფასება. რაც შეეხება დეკლარირებული კრიტერიუმების სხვა პუნქტების რეალიზაციას, ასეთი სახით ამ ამოცანის თუნდაც მოკრძალებული სიმკაცრით შესრულება

განსანაწილებელი ბიუჯეტის მოცულობაზე უფრო ძვირი დაჯდებოდა! ანუ, რეალურად, კონკურსი დეკლარირებული, საკამათო კრიტერიუმებითაც კი არ ჩატარებულა.

2. "საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" არ არის კერძო პირის, ან უცხო სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხების განაწილება, ამდენად სამინისტროს არა აქვს უფლება საიდუმლოდ შეინახოს კონკურსის ჟიურის წევრების ვინაობა, მითუმეტეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ანონიმური შესაძლებელია იყოს ამა თუ იმ თემატიკის რეცენზენტი, მაგრამ არა ჟიური, რომელიც, სხვათა შორის, პასუხისმგებელია ობიექტური, დაუინტერესებელი და კომპენტენტური რეცენზენტების შერჩევაზე.
3. სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსს ყველა ეტაპზე ახასიათებდა საჯაროობის დარღვევა და უაღრესად მწირი ინფორმაციული უზრუნველყოფა. კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა ისე, რომ უცნობი იყო საკონკურსო კრიტერიუმები, გაურკვეველი იყო, ვის ჰქონდა კონკურსში მონაწილეობის უფლება, ბუნდოვანი იყო კონკურსის მიზანი და პრინციპები, მუდმივად დახურული იყო კონკურსის ამსახავი ვებ-გვერდი, საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები და სხვა დოკუმენტები გაიხსნა და ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ კონკურსის დამთავრების შემდეგ, არ გამოქვეყნებულა საექსპერტო დასკვნები. ანუ, ფაქტიურად, ჩვენ საქმე გვაქვს არა საჯაროდ, არამედ ფარულად ჩატარებულ შერჩევასთან.
4. მიუღებელია სამინისტროსა და დეპარტამენტის თსუ თანამშრომლებთან ურთიერთობის ფორმა. საექსპერტო დასკვნების მიწოდებაზე უარის თქმით უხეშად დაირღვა უნივერსიტეტის მეცნიერთა უფლებები. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში მისულ თსუ თანამშრომლებს არათუ სრულ ინფორმაციას არ აწვდიდნენ, არამედ ხშირად უდიერადაც კი ეკიდებოდნენ. საერთოდ, სამინისტროს დამოკიდებულება მეცნიერთა უმრავლესობისადმი გაჯერებული იყო შეურაცხყოფითა და მათი უფლებების იგნორირებით.
5. ხელისუფლების მიერ სრულიად იგნორირებულია უნივერსიტეტის ავტონომია და ყველა მოქმედებაში იჩენს თავს მის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. ამ ფაქტის ერთ-ერთი სავალალო გამოვლინებაა ის, რომ კონკურსის მომზადებისას და ჩატარებისას საჭიროდ არ ჩაითვალა უნივერსიტეტის ოფიციალურ წარმომადგენელთა თანამონაწილეობა.
6. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ნოვაციების შედეგად უკიდურესად მძიმე პირობები ექმნება საბუნებისმეტყველო სპეციალობების, განსაკუთრებით კი ფიზიკის განვითარებას. ეს საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, აგრეთვე, ჩვენს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ფიზიკის ფაკულტეტიდან წარდგენილი და "გამარჯვებული" პროექტების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად კომისია გამოკვეთს შემდეგ ტენდენციებს:
(ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონკრეტული თემის აქტუალურობა, პუბლიკაციების რანგირება და ა. შ., რაც მოითხოვს სპეციალურ მიდგომას, ჩვენ არ ვეხებით, თუმცა ვთვლით, რომ გარკვეული ეჭვის საფუძველი აქაც არსებობს)

- განაცხადი გააკეთა და დაფინანსება მიიღო პროფესორ-მასწავლე-ბელთა შემადგენლობის (პედაგოგიური შტატების) მხოლოდ ნაწილმა. დარჩენილ ნაწილს დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული საკონკურსო დებულების შესაბამისად, რომელიც თემატიკების წარდგენას მხოლოდ სამეცნიერო ნაწილის მხრიდან გულისხმობდა, განაცხადი არ გაუკეთებია. კომისიას ეს ფაქტი თანაბარუფლებიანობის უხეშ დარღვევად მიაჩნია.
- გამარჯვებულთა ნაწილს მინიჭებული აქვს უნივერსიტეტში დაკავებული საშტატო ერთეულის ადექვატური პოზიცია, ნაწილი კი დაფინანსდა გაზრდილი ოდენობით, რაც ასევე უთანასწორობაზე მიუთითებს.
- მთლიანად დაფინანსდა ის განაცხადები, რომლებიც დეპარტამენტში მოხვდა ფაკულტეტის გვერდის ავლით.
- გამარჯვებულად გამოცხადებული ზოგიერთი პროექტის შემსრუ-ლებლებს შორის ყოველგვარი ნორმის დარღვევით მითითებულია ისეთი პირები, ვინც ფიზიკურად ვერ შეძლებს პროექტის შესრულებაში მონაწილეობას, იმ მიზეზით რომ ხანგრძლივი მივლინებით იმყოფება საზღვარგარეთ ან დაკავებულია სხვა არასამეცნიერო საქმიანობით, არის ისეთი შემთხვევაც, როცა შემსრულებელი საერთოდ არ ირიცხება უნივერსიტეტის თამშრომელთა შორის. კომისია ამ ეტაპზე თავს იკავებს დაკონკრეტებისაგან, თუმცა მოუწოდებს შესაბამისი პროექტების მეცნიერ-ხელმძღვანელებს, ოფიციალურად ჩაანაცვლონ ამგვარი პირები რეალური შემსრულებლებით. სათანადო დროის შემდეგ კომისია საჭიროდ მიიჩნევს ამ პროცესის გადამოწმებას.
- დაუფინანსებელი დარჩა აქტიურად მომუშავე, კვალიფიციურ და პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერთა ერთი ნაწილი, რაც განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი იქნება. ეს ფაქტი დამატებით ადასტურებს ჩატარებული კონკურსის არასრულყოფილებას და ნათელს ხდის მასში უნივერსიტეტის აზრის გაუთვალისწინებლობის სიმცდარეს.
- ეჭვს იწვევს, თუ რის საფუძველზე მოხვდა ესა თუ ის დაფინანსებული პროექტი რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში. ბუნდოვანია ერთსა და იმავე კატეგორიაში გასული თემების დაფინანსების გრადაციაც. მაგალითად, მესამე კატეგორიით დაფინანსებულ ზოგ პროექტს 10-ჯერ მეტი თანხა მიეცა ტექნიკური საშუალებებისათვის ვიდრე იმავე კატეგორიაში გამარჯვებულ სხვა თემებს.
- უცნობია იმ თანამშრომელთა დაფინანსების საკითხი, ვინც ფარულად მონაწილეობდა დეპარტამენტში ა.დონღაძის თავმჯდომარეობით შემნილ საკონკურსო კომისიაში. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, ხომ არ იმალება ამგვარი ფარული თანამშრომლობის მიღმა ინტერესთა კონფლიქტი.
- კომისიას არ განუხილავს ფიზიკის ფაკულტეტის შემადგენლობაში ახლადშემოსული მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დაფინანსების საკითხები. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ინსტიტუტიდან წარდგენილი იყო რვა სამეცნიერო თემა და რვავე დაფინანსდა. გარდა ამისა, ფიზიკის ფაკულტეტზე მიწერილ გამარჯვებულ ჯგუფებს შორის ერთ-ერთის ფაკულტეტისადმი კუთვნილება ბუნდოვანია რჩება.

ზემოთმოყვანილი ფაქტებისა და ანალიზის საფუძველზე კომისია ფიზიკის ფაკულტეტის საერთო კრების წინაშე შემოდის შემდეგი რეკომენდაციებით:

1. კატეგორიულად იქნას მოთხოვნილი ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მიზნობრივი განკარგვა, ანუ უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილისთვის სახელფასო დაფინანსების აღდგენა;
2. ხაზგასმულად იქნას მოთხოვნილი კვლევითი ქვედანაყოფების საბაზო დაფინანსების აუცილებლობა, როგორც მსოფლიო პრაქტიკით აპრობირებული სამეცნიერო პროგრესის ეჭვმიუტანელი პირობა; ხელისუფლებისადმი შეთავაზებულ იქნას დაფინანსების შერეული მოდელი: საბაზო (ძირითადი) დაფინანსებას პლუს საკონკურსო (საგრანტო) დაფინანსება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუშლის ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული სამეცნიერო პოტენციალის ერთბაშად გაქრობას, ხოლო, მეორე მხრივ, სტიმულს მისცემს წარმატებულ კვლევით მუშაობას.
3. შექმნილ ვითარებაში გამოსავლად მივიჩნიოთ და მოვითხოვოთ, რომ გამარჯვებული პროექტების დაფინანსება ჩაითვალოს (როგორც ეს თავიდან იგულისხმებოდა) საგრანტო (საკონკურსო) დაფინანსებად, ხოლო წარუმატებელი პროექტების შემსრულებლებს მიეცეთ საბაზო დაფინანსება ხელფასის სახით და არა ე.წ. სტიპენდიების ფორმით, მითუმეტეს რომ თანხობრივად მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.
4. სამეცნიერო თემატიკების მომდევნო კონკურსი, რომელიც წლის მიწურულს გაიმართება მომზადდეს და ჩატარდეს აუცილებელი გამჭვირვალობის პირობებში, მას წინ უსწრებდეს საკონკურსო წესების საჯარო შემუშავება, რაც გულისხმობს სამეცნიერო პრიორიტეტების დაკონკრეტებას, გამოყენებითი და ფუნდამენტური პროექტებისათვის ადექვატური კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, ასევე, თეორიული და ექსპერიმენტული სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებას და სხვ. როგორც გამარჯვებულთა ობიექტური გამოვლენის აუცილებელი პირობა მოთხოვნილ იქნას ფაკულტეტის (ზოგადად კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ნდობით აღჭურვილ ოფიციალურ წარმომადგენელთა თანამონაწილეობა საკონკურსო პროცესში.
5. მოთხოვნილ იქნას უნივერსიტეტის შელახული ღირსებისა და უფლებების, ანუ ავტონომიის აღდგენა და სამომავლო ხელშეუხებლობა.
6. უნდობლობა გამოეცხადოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმ ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების მომზადებასა და გატარებაზე; უარყოფითად იქნას შეფასებული მათ მიერ გაწეული საქმიანობა, მათ შორის სამეცნიერო თემატიკების კონკურსის უხეში დარღვევებით ჩატარებაც; მხარი დაეჭიროს პროფ. თ.სანაძის მიერ პრეზიდენტისადმი მიმართულ წერილში გამოთქმულ შეფასებებს; მოთხოვნილ იქნას მეცნიერების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობათა მკაცრი განსაზღვრა სამეცნიერო საზოგადოების მიერ ერთობლივად გამომუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.
7. მოთხოვნილ იქნას საგანმანათლებლო-სამეცნიერო რეფორმების არსებითი გაღრმავება და მის განხორციელებაში კომპეტენტურ მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობა.